

**ი-/-ე პრეფიქსიან ვნებითა დაბოლოებისათვის
მეორე კავშირებითის მრავლობითი
რიცხვის მესამე პირში
(განხილვის წესით)**

ახალ ქართულში დრო-კილოთა მეორე ჯგუფში გამოყოფენ ორ ნაკვთს (მწკრივს): ნამყო ძირითადას (წყვეტილს) და კავშირებით მეორეს.

-ნენ დაბოლოება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად სალიტერატურო ნორმით ნაკვთთა მეორე ჯგუფში უნდა იხმარებოდეს:

1. დ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან; აქედან გამომდინარე,
2. დ-თი ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებში;
3. „თბება“ ტიპის (ე. წ. „უნიშნო“ ვნებითების) დინამიკურ (ერთპირიან და ორპირიან) ზმნებში.

-ნენ დაბოლოების დაკანონება დ-ს მომდევნოდ ახალ ქართულში აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ა) გაბატონებული ფორმა და ბ) მარტივია წარმოების მიხედვით; ყველა ზმნა ერთნაირი დაბოლოებით გვევლინება (თქსე ნორმები, 1986, გვ. 188-190).

-ნენ დაბოლოების ისტორია (ქრონოლოგია და წარმოშობა) ცნობილია. ერთიან სუფიქსად მისი ჩამოყალიბება საშუალო ქართულში მოხდა.

ი-/-ე პრეფიქსიანი ვნებითების ნამყო ძირითადას (წყვეტილსა) და კავშირებით მეორეში სალიტერატურო ქართულში დღემდე ვხვდებით **-ნენ** დაბოლოებას (ნორმები, გვ. 185). პარალელურ ფორმათაგან ნამყო ძირითადში გვაქვს როგორც **-ნენ** (-ნ-ენ), ისე **-ენ**; კავშირებით მეორეში კი **-ნენ** (-ნ-ენ) და **-ონ** (-ონ-).

ძველ ქართულში ნამყო ძირითადისა და კავშირებითი მეო-

რის პრეფიქსიან ვნებითა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები განსხვავდებოდა: და-ე-მალ-ნ-ეს ივინი მას (ნამყ. ძირ.) და და-ე-მალ-ნ-ე-ნ ივინი მას (კავშ. მეორე).

ახალ ქართულში -ნ-ეს (ნამყ. ძირ.) სუფიქსი შეცვალა -(-ნ)ენ სუფიქსმა: და-ე-მალ-ენ/და-ე-მალ-ნენ ისინი მას; ხოლო კავშირებით მეორეში -ნენ (< ნ-ე-ნ) დაბოლოების ადგილი პრეფიქსიან ვნებითებში დაიკავა -ო-ნ სუფიქსმა. ე. ი. კავშირებითი მეორის (მწკრივის, resp. კილოს) -ე მაწარმოებელი შეცვალა -ო სუფიქსმა, ამჟამად ეს სალიტერატურო ნორმაა, რომელსაც საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას სტატია (1933 წ.), თუმცა სამწერლობო ენაში, სასაუბრო ქართულსა და განსაკუთრებით დიალექტთა ერთ ჯგუფში დღემდე გაბატონებულია -ნენ სუფიქსი.

საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს ა. შანიძეს. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (1973), რომელიც სახელმძღვანელოს წარმოდგენს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, ა. შანიძე -ნენ დაბოლოებას უჭერს მხარს ამ ფორმებში (ამ თვალსაზრისით, სასწავლო სახელმძღვანელოსა და სალიტერატურო ნორმას შორის შეუსაბამობა იჩენს თავს)¹.

იმ დროს (XX ს-ის 30-იანი წლები), როდესაც არნ. ჩიქობავამ თანამედროვე ქართულისათვის პრეფიქსიან ვნებითა კავშირებითი მეორის საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალა (იხ. ნორმები, გვ. 186), ენაში ამ ფორმათა (გგულისხმობთ პასივთა დაიმალონ/დაემალონ ფორმებს) დამკვიდრებას ხელს არ უწყობდა მისი **გავრცელებულობა**, არ იყო **გაბატონებული** ფორმა: პარალელური ფორმები დღესაც იხმარება, ხოლო XVIII-XIX ს-ის ქართველ კლასიკოსთა ენაში -ნენ დაბოლოებიანი ფორმები მომეტებულიც იყო. ამის დასტურია მკვლევართა დაკვირვებანი საბას, ბესიკის, ილიას, ვ. ბარნოვის...; აგრეთვე XIX ს-ის ქართველ დრამატურგთა თხზულებების ენაზე. მოცილე (ო-ნ დაბოლოებით) ფორმები უმეტესად აკაკის, დ. კლდიაშვილის... ნაწარმოებებში იჩენს თავს, ილიასა და ვაჟასთან კი — ნაკლებად.

-ნენ დაბოლოებას კავშირებით მეორეში მხარს უჭერს

¹ სასკოლო სახელმძღვანელოში (ქართული ენა, 1998, VII კლასისათვის, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) შესაბამისი ფორმები სალიტერატურო ნორმით არის წარმოდგენილი.

ტრადიცია და სალიტერატურო ქართული ენის საყრდენი კილოები — ქართლური და კახური (ზოგი სხვაც).

მესამე პირის მრავლობით რიცხვში **-ნენ** დაბოლოების სასარგებლოდ პრეფიქსიან ვნებითებში მიუთითებს ისიც, რომ **დ-**თი ნაწარმოებ ვნებითებსა და „უნიშნობში“ **-ნენ** დღესაც ერთადერთი სუფიქსია სამწერლობო ქართულსა და ყველა დიალექტში; ფორმათა დამთხვევა ნამყო ძირითადთან ხელს არ უშლის მწკრივის ამოცნობას: **გაწითლდ-ნენ**, **გათბ-ნენ** (ნამყ. ძირ.), **გაწითლდ-ნენ გათბ-ნენ** (კავშირ. მეორე).

ასე რომ დარჩენილიყო (ე. ი. შემუშავებულიყო ნორმა), მაშინ ყველა დინამიკურ ვნებითს სუბიექტური პირველი პირის მრავლობით რიცხვში ექნებოდა **ერთნაირი** დაბოლოება, რომელიც ისტორიულადაც გამართლებულია, გრამატიკულადაც სწორია და აკმაყოფილებს სალიტერატურო ნორმის მოთხოვნებს.

მაგრამ მოხდა ისე, რომ კავშირებით მეორეში პრეფიქსიან ვნებითებთან დამკვიდრდა **-ონ** დაბოლოება **-ნენ** სუფიქსის ნაცვლად. ამდენად, პრეფიქსიანი ვნებითები განსხვავდნენ სუფიქსიანი და „უნიშნო“ ვნებითებისაგან.

თუ **-ონ** დაბოლოება კავშირებით მეორეში **ი-ე-** პრეფიქსიან ვნებითებში გრამატიკულად სწორი არ არის, არც საყოველთაო გავრცელებულობით გამოირჩეოდა, ინტერესს იწვევს, რატომ დაუჭირა მხარი არნ. ჩიქობავამ **-ონ** სუფიქსის დამკვიდრებას? ვფიქრობთ, ამის საფუძველი არსებობდა¹.

არნ. ჩიქობავა აცხადებდა: „სალიტერატურო ქართულში კავშირებითი მეორის საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს“ (ნორმები, გვ. 186), რადგან **დავიმლოთ**, **დაიმლოთ**, **დაიმალონ გაბატონებული** ფორმებიან — ამას ვერ დავეთანხმებით (დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ნორმად დგინდებოდა), რადგან ამ ფორმათა დამკვიდრება-გაბატონებას სწორედ ნორმის

¹ შევნიშნავთ, რომ ქართლის ცხოვრების ანასეულ ნუსხაში (1469-95 წ.წ.) დადასტურებულია ფორმა: **გელოდონ**; ფორმა გამეორებულია ჭილაშვილისეულ ნუსხაშიც (XVI ს-ის II ნახ.); ვიძოწმებთ ქ. გიგაშვილის საკანდიდატო დისერტაციიდან: „ე პრეფიქსიანი ვნებითების მწკრივთა წარმოებისათვის საშუალო ქართულში, თბ. 1992; პარალელური ფორმები: **განეშორნეთ/განეშორთო; ვიყვნეთ/ვიყვეთ/ვიყოთ** შეინიშნება საბასთან (იხ. მ. კობალაძის საკანდ. დისერტაცია: „ს. საბა-ორბელიანის ენისა და სტილის საკითხები“, თბ., 1971). საკითხი დიაქრონიზმა შესასწავლი.

დადებამ შეუწყო ხელი.

როგორც ჩანს, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის, რომ პრეფიქსიან ვნებითებს თუ ნამყო ძირითადის მხოლოდობითი რიცხვის პირველ და მეორე პირში -*ე* სუფიქსი მოუღიოთ, კავშირებით მეორეში უსათუოდ *ო*-ს გაიჩინენ და ეს წესი უგამონაკლისოა.

არნ. ჩიქობავას შემოთავაზებული პარადიგმა მარტივად აეწყო მწკრივის ფარგლებში: მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმები უნიფიცირებული გახდნენ დაბოლოებით, განსხვავებით ძველი ქართულისაგან:

მხ. რიცხვ.:	მრავლ. რიცხვ.:	შდრ. ძვ. ქართ.
დავიმალ-ო/დავემალ-ო	დავიმალ-ო-თ/დავემალ-ო-თ	დავემალ-ნ-ე-თ
დაიმალ-ო/დაემალ-ო	დაიმალ-ო-თ/დაემალ-ო-თ	დაემალ-ნ-ე-თ
დაიმალ-ო-ს/დაემალ-ო-ს	დაიმალ-ო-ნ/დაემალ-ო-ნ	დაემალ-ნ-ე-ნ

მხოლოდობით რიცხვში კავშირებითი მეორის ფორმები ძველსა და თანამედროვე ქართულში ემთხვევა. გამოდის, რომ პრეფიქსიანი ვნებითები თანამედროვე ქართულში იმავე ყალიბის გარდამავალ ზმნათა მსგავსად იწარმოებენ კავშირებით მეორეს¹.

არ არის გამორიცხული, რომ არნ. ჩიქობავამ ნამყო ძირითადთან დამთხვევის გამო არჩია მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ქცევის საზიარო ფორმა ვნებითთან კავშირებით მეორეში: და-ი-მალ-ო-ნ მათ ის (ვთქვათ, ხელები; აქტივი II კავშ.) და და-ი-მალ-ო-ნ ისინი (პასივი, II კავშ.), რაც არ ხდება ე-პრეფიქსიან ვნებითებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დ-თი ნაწარმოები და „უნიშნო“ ვნებითები ვერ იგუებენ პრეფიქსიან ვნებითთა მსგავს დაბოლოებას — S_3^P მათ აქვთ -ნენ ნამყო ძირითადსა და კავშირებით მეორეშიც, ფორმოზომიერი დამთხვევის თავიდან აცილება არ უნდა იყოს გამოსავალი (არნ. ჩიქობავას ვარიანტის მიღების შემთხვევაში ემთხვევა აქტივისა და დინამიკური პასივის ფორმები).

საკითხის ასე გადასაწყვეტად — რომელი ჯობს: და-ი-მალ-ო-ნ თუ და-ი-მალ-ნენ (კავშ. მეორე), საჭიროა საკითხის განხილვა კავშირებითის ა და ე სუფიქსიანი ფორმების კონტექსტში.

¹ გ. გოგოლაშვილი, მეორე კავშირებითის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი თანამედროვე ქართულში: ქსკ, VI, გვ. 109-116.

კერძოდ:

და-ი-წვ-ა-ს (მხ. რიცხვ.), და-ი-წვ-ა-ნ თუ და-ი-წვ-ა-ნენ (მრავლ. რიცხვ.)

გა-თბ-ე-ს (მხ. რიცხვ.), გა-თბ-ე-ნ თუ გა-თბ-ე-ნენ (მრავლ. რიცხვ.):

თუ თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის სწორად მივიჩნევთ ფორმებს: და-ი-წვ-ა-ნ, გა-თბ-ე-ნ (შდრ. მხოლ. რიცხვში და-იწვ-ა-ს, გა-თბ-ე-ს), მაშინ პასივთა წარმოების მოდელისათვის აჯობებს და-ი-მალ-ო-ნ/და-ე-მალ-ო-ნ; ხოლო, თუ სწორია და-ი-წვ-ა-ნენ, გა-თბ-ე-ნენ (რა თქმა უნდა!), უმჯობესი იქნება: და-ი-მალ-ა-ნენ/და-ე-მალ-ა-ნენ.

ასეთ შემთხვევაში დინამიკურ პასივთა წარმოებისათვის ენას ექნება ერთი მოდელი.

შენიშვნა: 1. არნ. ჩიქობავა თქვე ნორმებში ი-/ე პრეფიქსიან ვიშალები/ვეშალები ტიპის ზმნებს განიხილავს და ადგენს კავშირებითი მეორისათვის **ო-ნ** დაბოლოებას. მაგრამ არის სხვა პრეფიქსიანი ზმნებიც. მაგალითად, **ი-რწყვება** ის/**ე-რწყვება** ის მას, რომელთა კავშირებით მეორეში პარალელური ფორმები დასტურდება: **მოირწყოს/მოირწყას** (მხოლ. რიცხვ.), მრავლ. რიცხვში შესატყვისია: **მოირწყონ/მოირწყან**. რომელი დავამკვიდროთ სალიტერატურო ქართ-ში?

არნ. ჩიქობავას არა აქვს ასეთი დაპირისპირებისათვის შემუშავებული წესი. თავისუფალი არჩევითობა (შდრ. გოგოლაშვილს, რომელიც ასე ამბობს) ნორმისთვის მიუღებელია. ამდენად **ო-ნ** სუფიქსის დამკვიდრებაც პრეფიქსიან ვნებითებში **საყოველთაო** აღარ გამოდის.

2. სათაურში (ნორმების მიხედვით) გამოტანილია საკითხი **-ნენ** თუ **-ენ** სუფიქსი დამკვიდრდეს დრო-კილოთა მეორე ჯგუფში (ნამყო ძირითადას და კავშირებით მეორეში), დადგენილი ნორმა კი კავშირებითი მეორისათვის პრეფიქსიან ვნებითებში გთავაზობს **ო-ნ** (S₃^P) დაბოლოებას. ვეიქრობთ, ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება.